



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეგალიშვილი ალექსანდრე გრიგოლის ძე

ბეგალიშვილი ალექსანდრე გრიგოლის ძე (15, I. 1923, თბილისი, – 26. XI. 1989, იქვე), მუსიკოს-შემსრულებელი (ალტი) და პედაგოგი. საქართვე. დამს. არტისტი (1952). პროფესორი (1964).

1944 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორია (ლ. იაშვილის სავიოლინო კლასი). 1944–67 უკრავდა საქართვე. სახელმწ. სიმებიან კვარტეტში. ბ. იყო საქართვე. ფილარმონიისა და რადიოს სოლისტი. მის შესრულებას ახასიათებდა მაღალი პროფესიონალიზმი, ემოციურობა. იგი ქართვე. კომპოზიტორების, აგრეთვე მსოფლიო კლასიკოსთა ნაწარმოებების ჩინებული ინტერპრეტატორი და ქართვე. კომპოზიტორების მიერ ალტისათვის დაწერილი მრავალი ნაწარმოების პირველი შემსრულებელი იყო.

სსრკ სახელმწ. პრემიისა (1952) და სიმებიანი კვარტეტების პრადის საერთაშ. კონკურსის (1952) ლაურეატი (კვარტეტის სხვა წევრებთან ერთად).

გ. ტორაძე
